საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალკვირა

ახალკვირა, ახალკვირიაკე (პასექის განახლება, თომას კვირიაკე), ქრისტიანული დღესასწაული, დაწესებული აღდგომის მომდევნო კვირადღეს ქრისტეს ხელმეორედ გამოცხადების აღსანიშნავად.

ამ დღეს იესო ქრისტე გამოეცხადა თავის თერთმეტ მოწაფეს (მოციქულებს), მ. შ. თომა მოციქულსაც, რ-საც არ სჯეროდა უფლის მკვდრეთით აღდგომა. როცა უფალმა იარებზე შეახებინა ხელი, მაშინ თომამაც ირწმუნა (იოანე 20, 26).

ა-ის დღესასწაულის არსი გამოხატულია ქრისტეს ხელმეორედ გამოცხადება-ამაღლებით. ამ თემას ეძღვნება გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილია „ახალკვირიაკისათვის და სატფურებისათვის“, რ-იც ქართულად თარგმნეს ექვთიმე მთაწმიდელმა (X ს. II ნახ. – XI ს. დასაწყ.) და ეფრემ მცირემ (XI ს. II ნახ.).

საქართველოში ა. სინკრეტული ხასიათის დღესასწაულია. ქრისტ. ღვთისმსახურებაში შერწყმულია წარმართული კულტის ელემენტები.

ირ. სურგულაძე